



საქართველო

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

N 46 98

22/12/2017

საკრებულოს გამოკლებული წევრის მერაბ სირაძის ადგილმონაცვლის გიორგი ბერძულიშვილის თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ცნობის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ.გ)“ ქვეპუნქტის, მე-40 მუხლის მე-6 ნაწილის, 42-ე მუხლის ი) ქვეპუნქტის, 43-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ა) და ვ) ქვეპუნქტების, თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის მე-13 მუხლის, მერაბ სირაძის განცხადების (13.12.2017 წ), №49 თერჯოლის საოლქო საარჩევნო კომისიის 2017 წლის 20 დეკემბრის №210 წერილისა და იურიდიულ საკითხთა კომისიის 2017 წლის 21 დეკემბრის №7 დასკვნის საფუძველზე საკრებულომ **გადაწყვიტა:**

მუხლი 1. ცნობად იქნას მიღებული ვადამდე შეუწყდეს მერაბ სირაძეს საკრებულოს წევრის უფლებამოსილება საკრებულოს წევრისათვის შეუთავსებელი თანამდებობის დაკავების გამო და საკრებულოს გამოკლებული წევრის მერაბ სირაძის ადგილმონაცვლის გიორგი ბერძულიშვილის თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილება.

მუხლი.2 მერაბ სირაძის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის თარიღია თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის თანამდებობაზე დანიშვნის მომდევნო დღე-2017 წლის 13 დეკემბერი.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ზესტაფონი, წერეთლის ქ.№7), დაინტერესებული მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
ნინო ჯანელიძე

საკრებულოს თავმჯდომარე

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო